ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 1/152-2012

ქ. თბილისი 02 ივლისი 2012წ.

ერთი მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონში ჭანტურიას ქ№12; ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ალექსიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")
და
მეორე მხრივ,
ი/მ „ლერი ბოგვერაძე" (მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, სულხან -საბას ქ. №8 ს.კ №60002016438) (შემდგომში – ,,მიმწოდებელი")
საქართველოს კანონის „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საჭიროებისათვის კოპიტნარის აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება (CPV 45500000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 284 000 (ორასოთხმოცდაოთხი ათასი) ლარს.
2.2 მომსახურების სრული ჩამონათვალი თავისი განფასებით მოცემულია დანართში №1, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები
3.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 30 სექტემბრისა, შემდეგ მისამართზე: სამტრედიის რაიონი, კოპიტნარის აეროპორტი.
3.2. „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი
4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად და ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ყოველ 15 დღეში ერთხელ ფაქტობრივად გამოყენებული ტექნიკის მიხედვით.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი და წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურა.
5.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება–ჩაბარების" აქტისა და ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.4. „მიღება–ჩაბარების“ აქტისა და ანგარიშ–ფაქტურისა წარმოდგენის გარეშე, არ მოხდება თანხის გადახდა.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.2. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება;

6.1.4. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.5.დროულად განიხილოს „შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.6. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.1.7.შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს ინფორმაციის მოწოდება გაწეული მომსახურების თაობაზე.

6.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს “მიმწოდებლისათვის” თანხის გადახდა 5.3. პუნქტის შესაბამისად.

6.2.2. დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები

7.1. “მიმწოდებელს” უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

7.2. „შემსყიდველს” უფლება აქვს:

7.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7.2.2 არ მიიღოს უხარისხო შესრულება.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

8.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით გრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. ინსპექტირების პირობები

14.1.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინტორი შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" პროექტის მენეჯერი ავთანდილ გელაძე.

14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

მუხლი 15. დამატებითი პირობები

15.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 2 (ორ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონში ჭანტურიას ქ №12 **ს.კ** № 404 389 693 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი", **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE47TB0615536070100001 ვეფხვან ალფასიძე დირექტორი	**ი/მ „ლერი ბოგვერაძე"** (მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, სულხან -საბას ქ. №8 **ს.კ** №60002016438 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკის" ქუთაისის ფილიალი **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ა/ა:** GE51TB0300000360201054 ლერი ბოგვერაძე

დანართი N1

№	შსყიდვის ობიექტის დასახელება	ერთი დღის ღირებულება	დღეების რაოდენობა	საერთო ღირებულება
1	მანიტოუ MT 1637 SLT სნ 162980 ტელესკოპური დამტვირთველი, გამოშვების წელი 2000 წ. ერთი დამუშავებული დღის ღირებულება 600 (ექვსასი) ლარი.	600.00	80	48 000.00
2	მანიტოუ MT 1637 SLT სნ 1149852 ტელესკოპური დამტვირთველი, გამოშვების წელი 2001 წ.	600.00	80	48 000.00
3	ავტო-ამწე KC-55713-1. 25T ტვირთამწეობით და ისრის სიგრძე-22 მეტრი, გამოშვების წელი 2006 წ.	500.00	80	40 000.00
4	ავტო-ამწე MKAT-40. 40T ტვირთამწეობით და ისრის სიგრძე - 35+6 მეტრი, გამოშვების წელი 1990 წ.	1 200.00	50	60 000.00
5	ავტო-ამწე KC-3577. 12,5 T ტვირთამწეობით და ისრის სიგრძე -12 მეტრი, გამოშვების წელი 1990წ.	300.00	80	24 000.00
6	სატვირთო KAMAZ-53229. სიგრძით 6 მეტრი, ღია პლატფორმით, 14 T ტვირთამწეობით.	250.00	80	20 000.00
7	იტეკო PE-120-EX. (ელექტრო კალათი) სიმაღლე 11 მეტრი და 500 კგ ტვირთამწეობით. გამშვების წელი 2001 წ.	150.00	80	12 000.00
8	იტეკო PE-110-EX. (ელექტრო კალათი) სიმაღლე 11 მეტრი და 500 კგ ტვირთამწეობით. გამოშვების წელი 2000 წ.	150.00	80	12 000.00
9	ჰიდრო-ამწე АГП-22. სიმაღლე -22 მეტრი. გამოშვების წელი 1990 წ.	250.00	80	20 000.00
			სულ ჯამი	**284 000.00**